

რევიზია

პედაგოგია

რედაკცია კანტორა
საბაზო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაკცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

რესპუბლიკის საზღვრებში ინსპექტორის თანაშემწე ქუთაისის გუბერნიის ი. იაშვილი ამით ანცხადებს საყოველთაო საფურცლებით, რ. მ. მ. შუთაიანი

საგუბერნიო საპრობილესათვის საჭირო არიან მოქმედებები

რომელთაც შეუძლიათ მიწოდონ საგუბერნიო საპრობილეს ყოველ-გვარი სანოვავე: 1. გამოცხადარი მქალი, 2. სიმინდის ფეკილი, 3. სიმინდი, 4. ხორცი, 5. საქონლის ქონი, 6. კარტოფილი, 7. კომპოსტო, 8 ხახვი, 9. ნიგოზი, 10. საჭმელის ზეთი, 11. ლობიო, 12. ტყემლის ტყლაპი, 13. რძე, 14. კვერცხები, 15. წიწილები, 16. პამიდორი გამოხდილი და ახალი, 17. ძმარი, 18. მარილი, პიპილა და სხვა. სათითაო საგნები ფასების აღნიშვნით და აგრეთვე წყლის, ნავთის, შუშის და საპონის. ამის შესახებ მსურველებს შეუძლიათ ქუთაისის საგუბერნიო საპრობილეს კანცელარიაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე მიიღონ ყოველ-გვარი ცნობები სანოვაგის რაოდენობისა, ციხის უფროსის თ. ა. ასათიანისაგან ყოველ-დღე 31 ამა აგვისტომდე და მსურველმა მოიჯარადებმა ამ ხნის ვადაში ესე იგი 1-ლ ეკენისთვემდე (ახალი სტილით) 1919 წ. უნდა შემოიტანონ დახურულ პაკეთით განცხადებები, რომელშიც უნდა იყოს აღნიშნული უსათუოდ სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი მოიჯარადისა და ამ განცხადებებში ყოველ-გვარ აღნიშნულ საგანზედ უსათუოდ უნდა იყოს სათითაო ლოდ წაჩვენები თუ რამდენი ხნის განმავლობაში და რა ფასებში შეუძლია მათ მიწოდონ სანოვავე საპრობილეს, რის შემდეგ ჩემ მიერ მოწვეული იქნება კომისია, რომელიც განიხილავს ამ საკითხს და ხაზინისათვის ხელ საყრელი ფასები რომელშიც იქნება განცხადებაში წაჩვენები ის გამოწვეული იქნება პირობის შესაყრავათ.

რესპუბლიკის საპრობილეს თანაშემწე ი. იაშვილი. 3-1

ვასილ მარგველაშვილის საეჭროში იყიდება ბორჯომის წყალი, ბოთლიანათ—5 მანეთათ. მისამართი: მწვანე ბაზარი, ვასილ მარგველაშვილის საეჭრო სახლი. 5-1

სიმფონიური ორკესტრის სად?! კონცერტი! სად?

ქალბატონ თამბრი. მრუბათს 18 აგვისტოს, მართულ საშუალო საზოგადოებისა და ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის კაპელა გამართავს დიდ კონცერტს. კომპოზიტორ დ. არაქიშვილის ლოტბარობით. დაწერილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. საწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. კაპელას გამგე ი. აბაშიძე. 2-1. აღმინისტრატორი ი. ბარველი.

განცხადება. ქუთაისის სამეურნეო სკოლის მამულში აჯამეთში ოთხშაბათს 25 აგვისტოს (ახალი სტილით) ნაშუადღევს ორ საათზე დანიშნულია შეჯიბრებითი ვაქრობა, საუკეთესო ჯიშის ხეხილის (მხალი, ვაშლი, ატამი და ქლიავი.) რომლის რაოდენობა ხუთას ფუტს აღემატება. 3-1. ქუთაისის სამეურნეო სკოლის მმართველი ალ. შარაშიძე.

ექიმი ვ. ი. მაჭავარიანი. იღებს საბებიო, ქალთა საზარდე მილის და ვენერიული სნეულეების ავადმყოფებს (სისხლში შემავაზუნება 606 და 914) ყოველ დღე დილის 9-12 საათ. საღამოს 6-8 საათ. მისამართი: რესპუბლიკის ქ. საკუთარი სახ. ფოსტის გვერდით. 24-6

ქუთაისის აგვისტოს 16. ჩვენი პო-საქართველოს პოლიტიკური ლიტერატურა წიგნების ყურადღება მიპყრობს. ბილია ინგლისელების მიერ ობა. ამიერ კავკასიის დატოების საკითხისაყენ. ახლოვდება ისეთი ხანა, რაც ამიერ კავკასიის ერებს რევოლიუციის შემდეგ ჯერ არ დადგომია და არ განუცდია. ინგლისელთა ჯარების წასვლა თუ გამართლდა, რაც უკვე მორიგ საკითხად სდგას როგორც ჩვენში, ისე ინგლისში-დაც, ამიერ კავკასიის ერები და კერძოთ საქართველო საფრთხეში ჩავარდება გარე შე მტრების შემოსევით. მოხალისეთა არმიამ ერთის მხრით გენერალი ბარათოვი წარმოგზავნა თბილისში, რომელიც ჩვენს მთავრობას არწმუნებს, რომ დენიკინს საქართველოსთან სურს კეთილმეზობლური დამოკიდებულება იქონიოს; მეორე მხრით კი მოხალისეები ემზადებიან, რომ თავს დაგვეხან და ჩვენი თავისუფლება გააქარწყლონ, მოსპონ საქართველოს დამოუკიდებლობა და თვითონ გაბატონდნენ. დენიკინი დროს უცდის და ეს დროც მაშინ დადგება, როცა ინგლისი თავის ჯარს ამიერ კავკასიის საზღვრებიდან გაიყვანს. ჯერ გამოურკვეველია, როდის მოხდება ეს. როდის წავა აქედან ინგლისის ჯარი, მაგრამ ჩვენ სამზადის ეხლავე უნდა შევუდგეთ, რომ დენიკინის ლაშქარი თავს მოულოდნელად არ დაგვეხას. უპირველესად ჩვენ ამიერ კავკასიის ერებში უნდა გამოვანახოთ სანდო მოკავშირეები, რომ საერთო მტერს, საერთო ძალით დავხედეთ. ჩვენ თავიდანვე უნდა ვიქნეთ დარწმუნებული თუ ვინ არის ამიერ-კავკასიის საზღვრებშივე ჩვენი მტერი თუ მოყვარე. მაგრამ დაჩქარებით უნდა იქნეს გამოკრეული ბათუმის საკითხიც. დენიკინმა თუ ბათუმი ბაზათ ვაიხანა და იქ თავისი ძალები გადმოსხა მდგომარეობა კი ბარბაროსულად არ განადგურეს!

დღე უფრო ვართულებდა და საფრთხე კიდევ უფრო დამძიმდება. ამიტომ ჩვენს ზრუნვას შეადგენს: როგორც ინგლისელები ჩვენი საზღვრებიდან წავა, ჩვენ ბათუმი უნდა დავიცვაოთ, ვაფაგროთ საზღვრები და მტრებს ისე დავხედეთ, როგორც სამშობლოს დამცველებს შეგვჩნით. საქართველოს მომავალი ბურუსით არის მოცული და როგორც მთავრობის, ისე პოლიტიკური ჯგუფების და მთელი ხალხის მოვალეობას შეადგენს, შეკრიბოს მებრძოლი ძალები, შეაკავშიროს მკიდრობა, დააყენოს სამშობლოს სადა-რაჯოზე და ამით უზრუნველ ჰყოს როგორც ჩვენი თავისუფლება, ისე დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეუხლებლობა და არსებობა.

როგორ გადაწყდა მიწის საპითისი კოლონათი? პოლონეთის საქონანდებლო კრება ეგრეთწოდებულის სახალხო ბარტიისაგან შედგება, რომელსაც იგივე პროგრამა აქვს, როგორც ჩვენს ეროვნულ-დემოკრატიას. აღსანიშნავია სხვათა შორის, რომ 400 კანონმდებელში ორს წმინდა გლეხურ პარტიას ასზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს, სოციალისტებს კი მხოლოდ 35. და ამ დემოკრატიულმა საქონანდებლო კრებამ მიწის საკითხი დაახლოებით ისე გადასჭრა, როგორც ჩვენი ეროვნული დემოკრატია გადასჭრიდა, მართავამგვობა რომ ხელში ჰქონდა. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ნორმის მინიმუმი, რომელიც დაუტოვეს თვითონ მიწისმოქმედს, დაახლოებით ასოციდან, სამას ჰქვეამდის აღის! მაშასადამე პოლონეთში აღარ იქნება დღეის შემდეგ ლატიფუნდიები, რომელთა ადგილს დაიკვრს საშუალო მიწისმოქმედება. მაშ საფუძველი სამეურნეო გაუმჯობესებისათვის შეტრუყველი დარჩა. შემდეგ: სოციალისტების წინადადება უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ შეწყნარებულ არ იქნა და ყოფილ დიდ მემამულეებს საშუალება მიეცათ შექმნან ინტენსიური მეურნეობა. მესამე: გაუმჯობესებელი დიდი მამულეები არ დაკუწეს და პატრონებსვე დაუტოვეს. მაშასადამე, ეროვნული სიმდიდრე ბარბაროსულად არ განადგურეს!





